

მუსიკა



მოსწავლის წიგნი

მარინა ბერაძე
თამარ თევდორაშვილი



გამომცემლობა პალიტრა L

მარინა ბერაძე
თამარ თევდორაშვილი

მუსიკა

მოსწავლის წიგნი



გამომცემლობა პალიტრა L

გრიფინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2018 წელს

მუსიკა

მოსწავლის წიგნი, მეექვსე კლასი

მარინა ბერაძე, თამარ თევდორაშვილი

გამოცემა დაცულია საქართველოს კანონით საავტორო
და მომხმარებელ უფლებების შესახებ.

მხატვრები: ბექა გიორგაძე, ცოტნე რუსიშვილი

სარედაქციო ჯგუფი

კონსულტანტი სალომე ხმიადაშვილი

რედაქტორი თეა ბარამაშვილი

დიზაინერი ლაშა გაბელია

კორექტორი ნინო ბიძინაშვილი

დამკაბადონებლები: რატი თორდია, შორენა დათაშვილი

პროექტის მენეჯერი ელისო რეხვიაშვილი

© გამომცემლობა პალიტრა L, 2018

ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებოძლის ქ. 49



238-38-71



book@palitra.ge



www.palitra.ge

ISBN 978-9941-29-289-7

საჩივრი

თავი I

რეალური და ჩვენი წარმოდგენები 1

გაკვეთილი 1-2 რეალობა და ჩვენი წარმოსახვა 2

გაკვეთილი 3-4 წარმოსახვითი თამაშების სახეობები 3

გაკვეთილი 5-6 მუსიკის როლი ვირტუალურ რეალობაში 4

გაკვეთილი 7-8 მუსიკა და წარმოსახვა 5

გაკვეთილი 9-10 ვიდეოთამაშები და რეკლამა 6

გაკვეთილი 11-12 ჩემი სამშობლო – საქართველო 7

თავი II

ადამიანის პორტრეტი მუსიკაში 9

გაკვეთილი 13-14 მუსიკა და ადამიანი 10

გაკვეთილი 15-16 ხმების მრავალფეროვნება 12

გაკვეთილი 17-18 მუსიკა და მეტყველება 13

გაკვეთილი 19-20 ნახატი და მუსიკით ასახული პორტრეტი 14

გაკვეთილი 21-22 ვეზნით მუსიკალურ პორტრეტს 15

გაკვეთილი 23-24 ახლა თქვენი ჯერია!.. 16

გაკვეთილი 25-28 ახალი წლის შეხვედრის ტრადიციები
უცხო ქვეყნებში 16

თავი III

მუსიკის როლი ხმოვან კინოში 17

გაკვეთილი 29-30 კინო და მუსიკა	18
გაკვეთილი 31-32 მუსიკა კადრში და კადრს მიღმა	19
გაკვეთილი 33-34 „იავნანა“	20
გაკვეთილი 35-36 ფილმი და რეკლამა	22
გაკვეთილი 37-38 ფილმის სამყაროში	23

თავი IV

მუსიკალური თეატრი: ოპერა და მიუზიკლი 25

გაკვეთილი 39-40 მუსიკალური სანახაობა სცენაზე – ოპერა	26
გაკვეთილი 41-42 ქალთა სახეები ოპერაში	28
გაკვეთილი 43-44 მამაკაცთა სახეები ოპერაში და რეჟიტატივი	29
გაკვეთილი 45 ოპერის ორკესტრი	30
გაკვეთილი 46 როკ-ოპერა	31
გაკვეთილი 47-48 მიუზიკლი	32
გაკვეთილი 49-50 „ქეთო და კოტე“ – საოპერო სპექტაკლი, ფილმი და მიუზიკლი	33
გაკვეთილი 51-52 პროექტი – ვამზადებთ სატელევიზიო გადაცემას	34
გაკვეთილი 53-54 სატელევიზიო გადაცემა ეთერშია!	35

მუსიკა საბალეტო საქმტაკლში 36

გაკვეთილი 55-56 სხეულის ენა და მუსიკალური ბგერები 37

გაკვეთილი 57-58 თვლა და დირიჟორობა 39

გაკვეთილი 59-60 ახლა თქვენი ჯერია 42

თავი V

ნაციონალური ელემენტები პროფესიულ მუსიკაში 43

გაკვეთილი 61-62 ზვიადაურის სახე და ფშაური ჰანგები 44

გაკვეთილი 63-64 ნაციონალური ელემენტები პროფესიულ მუსიკაში 45

გაკვეთილი 65-68 ახლა თქვენი ჯერია 45



გაკვეთილის სტრუქტურა

გაკვეთილის სათაური

გაკვეთილის ნომერი

გაკვეთილის ტექსტი

იმუშავე კომპიუტერში

გაკვეთილი 17-18

მუსიკა და მეტყველება

როგორც ვიცით, ადამიანებს სხვადასხვა ტემბრის, ინტონაციის ხმა აქვთ. ისინი საუბრობენ ნელა, სწრაფად, ხმადაბლა, ხმა მაღლა. მეტყველებით და მუსიკის ენით გადმოცემული ინტონაციები ძალიან ნააგავს ერთმანეთს, ამიტომ ერთად განვიხილოთ.

ამჯერად, უცხოურ ენაზე საუბარს მოუსმინეთ და თითოეული მოსაუბრე ტემბრისა და ინტონაციის მიხედვით დაახასიათეთ. იქნებ გექნობათ ეს ადამიანები?



მოსმინეთ მუსიკის ენით მოთხრობილი ორი სხვადასხვა ხასიათის საბავშვო პიესა, რომელშიც განსხვავებული მუსიკალური ინტონაციით, რიტმით, ტემპით ადამიანის მუსიკალური პორტრეტი იხატება. დაახასიათეთ თითოეული პიესა და დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

ნარმოიდგინე მუსიკის ენით გადმოცემული პორტრეტები და დახატე.

ეს დავალება კლასში უნდა შეასრულო

გაკვეთილი 5-6

მუსიკის როლი ვირტუალურ რეალობაში

როდესაც კომპიუტერით მუსიკალურ ნაწარმოებს ქმნის, თავისი ჩანაფიქრის გადმოსაცემად სხვადასხვა მუსიკალურ გამომსახველობით საშუალებებს იყენებს. ნაწარმოები შეიქმნება მის პირად ემოციებს გამოხატავდეს, რაიმე ცხოვრებისეულ მოვლენას ასახავდეს, წარმოსახვით ან რეალურ სამყაროს გვიხატავდეს და სხვა.

მოისმინე სხვადასხვა კომპიუტერის ორი მუსიკალური ნაწარმოები და ისინი რეალურ და წარმოსახვით სამყაროს დაუკავშირე. სწორი პასუხების მოძებნაში მათი სათაურებიც დაგეხმარება.

გაიხსენე კომპიუტერული თამაში, რომლითაც ყველაზე მეტად ხარ გატაცებული და მოკლედ დაახასიათე. იფიქრე, თამაშის პროცესში რა დახმარებას გინებს მუსიკალური თანხლება და შენთვის თუ არა მის გარეშე თამაში.

მოისმინე სხვადასხვა კომპიუტერული თამაშის მუსიკალური თანხლება, ანუ საუნდტრეკი და მათი სახეობები გამოიცანი.

ითამაშე „სუპერმენი“ და მუსიკალურ თანხლებასთან ერთად ხმოვანი ეფექტები დაიმახსოვრე.

ეს დავალება შინ უნდა შეასრულო

წიგნში სხვა სავარჯიშოებიც შეგხვდება:



იმღერე



მოუსმინე



იცეკვე



დაიმახსოვრე

თავი I


რეალური და ჩვენი
ნარმოდბენები



გაკვეთილი 1-2

რეალობა და ჩვენი წარმოსახვა

ზაფხულის არდადეგები გავიდა და თანაკლასელები კვლავ ერთად ხართ, მუსიკის გაკვეთილს ესწრებით. ზაფხული მოგონებად დარჩა, თქვენ კი სასწავლო პროცესს დაუბრუნდით. თუმცა, წარმოსახვით შეგიძლიათ გაიხსენოთ არდადეგების პერიოდის ისეთი მომენტები, რამაც სასიამოვნო მოგონებები დაგიტოვათ. მოდი, გაიხსენეთ ასეთი მომენტები და ისინი ერთმანეთს გაუზიარეთ.



ახლა კი რეალობას დავუბრუნდეთ. თუ არდადეგების პერიოდში რაიმე სიმღერა, ლექსი, მოთხრობა ან ზღაპარი ისწავლეთ, ერთმანეთს წარმოუდგინეთ.

მოუხმე ფანტაზიას. სცადე, წარმოიდგინო ისეთი რამ, რაც არდადეგების პერიოდში არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა, მომხდარიყო. შენი წარმოსახვა ნახატში გადაიტანე.



დაუბრუნდი რეალობას და საცეკვაო მუსიკას ფეხი აუწყვე.